სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის მიერ 2008 წელს გაწეული მუშაობის შესახებ:

2008 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განსახილველად იმყოფებოდა 1256 განცხადება (საჩივარი, წერილი). მათ შორის – 1150 შემოვიდა 2008 წელს, ხოლო 106 განცხადება მიღებული იქნა 2007 წელს.

აღნიშნული 1256 განცხადების (საჩივრის, წერილის) შესწავლის შედეგად:

1. 614 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა;

2. 54 დისციპლინურ საქმეზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გადაწყვეტილების საფუძველზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;

3. 71 დისციპლინურ საქმეზე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მდივნის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მოსამართლეთათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ;
აღნიშნული 70 დისციპლინური საქმიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებით:
ა) 11 დისციპლინურ საქმეზე 20 მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა;
ბ) 20 დისციპლინურ საქმეზე 27 მოსამართლეს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;
გ) 35 დისციპლინურ საქმეზე 30 მოსამართლე მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში.
დ) 5 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეების მიმართ მიმდინარეობს დისციპლინური საქმის გამოკვლევა.

4. ქვემდებარეობით გადაიგზავნა, მოქალაქეებს ეცნობათ პასუხი თავიანთ წერილებზე დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდეციაულურობის შესახებ ან/და სხვა განცხადებებთან (საჩივრებთან) გაერთიანდა იგივე საკითხებზე განმეორებით შემოსული 433 განცხადება (საჩივარი, წერილი;

5. 84 განცხადების (საჩივრის, წერილის) საფუძველზე მიმდინარეობს დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება;

2008 წლის განმავლობაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული 1256 განცხადების (საჩივრის, წერილის) საფუძველზე დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად 35 დისციპლინურ საქმეზე მიეცნენ მოსამართლეები დისციპლინურ პასუხისგებაში, საიდანაც 33 საქმე გადაიგზავნა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში 2008 წელს, ხოლო 2 საქმე (2 მოსამართლის მიმართ) გადაიგზავნა 2009 წელს.

სტატისტიკური ინფორმაცია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ 2008 წელს განხილული საქმეების შესახებ

2008 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განსახილველად შემოვიდა 33 დისციპლინური საქმე, გასული წლის ნაშთი - 15, სულ - 48 დისციპლინური საქმე.

2008 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განხილულ იქნა 22 დისციპლინური საქმე - 17 მოსამართლის მიმართ:

1. 2 დისციპლინურ საქმეზე 2 მოსამართლეს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;

2. 1 დისციპლინურ საქმეზე 1 მოსამართლეს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – შენიშვნა;

3. 7 დისციპლინურ საქმეზე 5 მოსამართლეს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – საყვედური;

4. 3 დისციპლინურ საქმეზე 3 მოსამართლის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - მკაცრი საყვედური;

5. 3 დისციპლინურ საქმეზე 3 მოსამართლის მიმართ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური საქმის წარმოება;

6. 6 დისციპლინურ საქმეზე 3 მოსამართლეს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება, რაც საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 2008 წლის განმავლობაში, არსებული განცხადებების, საჩივრების, წერილების მხოლოდ 0,48 %-მდე შეადგენს.